სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 5 21 0000925920

15/09/2021

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ :

1. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი ბექა მაისურაძე.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირს დაევალოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით დადგენილი წესის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად,

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე : ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

რექტორი
გურგენიძე დავით